სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 ივნისი 2026

N 427/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, სოფელ ნახიდურსა და სოფელ თამარისში შპს „ნახიდური ჰესი“-ს 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნახიდური ჰესი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობა: 2024 წლის 19 ნოემბერს სააგენტოს მიერ გამოცემულია „ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურსა და სოფ. თამარისში, შპს „ნახიდური ჰესის“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №654/ს ბრძანება.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 35 კვ ძაბვის და 2,7 კმ სიგრძის, ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომ – ეგხ) გაყვანა გათვალისწინებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურსა და სოფელ თამარისში. საჰაერო ეგხ მოიცავს 19 ერთეულ საყრდენს და უზრუნველყოფს „ნახიდური ჰესის“ და „ხრამი 7 ჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურ „ქოლაგირში“ მიწოდებას. კერძოდ, ეგხ-ის ერთი ჯაჭვი გათვალისწინებულია „ნახიდური ჰესის“ მიერ გამომუშავებული ელეტროენერგიის გასაყვანად, ხოლო მეორე ჯაჭვზე, №2 საყრდენიდან მიერთდება „ხრამი 7 ჰესის“ 35 კვ ძაბვის ეგხ-ის სადენები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდინარე ხრამი ეგხ-დან (№1 საყრდენიდან) დაშორებულია დაახლოებით 10 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი (№17 და №17[1] საყრდენებიდან) დაშორებულია დაახლოებით 110 მეტით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შპს „ნახიდური ჰესი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც №1 საყრდენის ადგილმდებარეობის ცვლილებას და ერთი ახალი საყრდენის (№2) მოწყობას გულისხმობს. კერძოდ, №1 საყრდენი მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროდან მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ძველი განთავსების ადგილიდან დაახლოებით 220 მეტრის დაშორებით გადაინაცვლებს და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდება (GPS კოორდინატები: X-473056.2 Y-4593095.7). №1 საყრდენიდან საპროექტო №2 საყრდენამდე ეგხ-ის დერეფანი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გაგრძელდება და მდინარე ხრამს გადაკვეთს. ახალი №2 საყრდენი მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროზე

მოეწყობა (GPS კოორდინატები: X-473181.1 Y-4593054.9), სადაც ასევე დაახლოებით 105 მეტრი სიგრძის და 3-3.5 მეტრი სიგანის დროებითი მისასვლელი გზის გაყვანაა გათვალისწინებული. №2 საყრდენიდან №3 ეგხ-ის დერეფანი აღმოსავლეთის მიმართულებით გაგრძელდება, ხოლო №3 საყრდენიდან ეგხ-ის დერეფანი უცვლელი დარჩება. აღსანიშნავია, რომ „ხრამი 7 ჰესი“-ს 35 კვ ძაბვის ეგხ-ის მიერთება მოხდება ახალი ნუმერაციით №3 საყრდენზე. ზემოაღნიშნული ცვლილების შესაბამისად, ეგხ-ის სიგრძე 2,7 კილომეტრიდან 2,9 კილომეტრამდე, ხოლო საყრდენების რაოდენობა 19 ერთეულიდან 20 ერთეულამდე გაიზრდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით შეცვლილი №1 საყრდენიდან დაშორებულია დაახლოებით 1680 მეტრით, ხოლო დამატებული №2 საყრდენიდან - დაახლოებით 1600 მეტით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე ხრამი, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით შეცვლილი №1 საყრდენიდან დაშორებულია დაახლოებით 25 მეტრით, ხოლო დამატებული №2 საყრდენიდან - დაახლოებით 55 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ის ანგარიშით და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის, მასშტაბის და ტექნოლოგიური სქემის ცვლილებას არ უკავშირებდა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული მონაკვეთი დიდი მანძილით არის დაშორებული უახლოეს საცხოვრებელ სახლს, ამასთან, ეგხ-ის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა, მასშტაბი და ტექნოლოგიური სქემა უცვლელი რჩება, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით შეცვლილი №1 და დამატებული №2 საყრდენის განთავსების ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, სამშენებლო მოედნებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება. სამშენებლოდ გამოყოფილი არეალები ძირითადად მდგრადია და მშენებლობისთვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობის გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პრევენციული, შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებები გატარდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და გრუნტზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას არ უკავშირდება. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით შეცვლილი №1 საყრდენის განთავსების ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება, ხოლო დამატებული №2 საყრდენის განთავსების ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერ ფენა საშუალოდ 0.05 მეტრი სისქის ფენით არის წარმოდგენილი. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით განხორციელდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ნარჩენების წარმოქმნის და მართვის კუთხით ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ნარჩენების მართვა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით მოხდება, რომელიც სააგენტოსთან შეთანხმდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით მდინარე ხრამთან ყველაზე ახლოს გათვალისწინებული №1 საყრდენის დაშორების მანძილი, ზედაპირული წყლის ობიექტთან მიმართებით, 10 მეტრიდან დაახლოებით 25 მეტრამდე გაიზრდება, ხოლო ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით დამატებული №2 საყრდენი მდინარე ხრამიდან დაახლოებით 55 მეტრის დაშორებით განთავსდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკების გაზრდასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია არ მდებარეობს საქართველოს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად იქნა შესწავლილი საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე, რის საფუძველზეც განისაზღვრა შესაბამისი პრევენციული, შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული მონაკვეთი ხვდება საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალში და გზშ-ის ეტაპზე გათვალისწინებულ დერეფანთან შედარებით, განსხვავებული ჰაბიტატების ათვისებას ადგილი არ ექნება. აღნიშნულისა და დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების მასშტაბის გათვალისწინებით ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. ამასთან, ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პრევენციული, შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკრინინგის განცხადება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს გადაეგზავნა.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, shp ფაილებით წარმოდგენილი 117 455 $მ^2$ ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 42 221 $მ^2$ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას (წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოს კვარტალი №47 ლიტერი №6 და ბოლნისიდმანისის სატყეო უბნის ფახრალოს სატყეოს ყოფილი საკოლმეურნეო ტყე). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 42 221 $მ^2$ ტერიტორიიდან 41 961 $მ^2$ ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 21 ერთეული მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 84.22.11.027; 84.22.11.020; 84.22.11.031; 80.02.61.369; 80.02.61.439; 84.22.11.018; 80.02.61.492; 84.22.11.030; 84.22.11.021; 80.02.61.285; 80.02.61.491; 80.02.61.366; 80.02.62.417; 84.22.11.029; 80.02.61.364; 80.02.61.481; 80.02.61.490; 80.02.61.480; 84.22.11.019; 84.22.11.028 80.02.62.605). აღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან 11 მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 84.22.11.029 84.22.11.031, 84.22.11.027, 84.22.11.021, 84.22.11.020, 84.22.11.028, 84.22.11.030, 80.02.61.492, 80.02.61.369 და 80.02.61.285; 84.22.11.018) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შპს „ნახიდური ჰესი“-სთვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება აქვს მინიჭებული. დანარჩენ ტერიტორიაზე შპს „ნახიდური ჰესი“-ს ამ ეტაპზე ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის არ მიუმართავს.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, სკრინინგის განცხადებაში ასახულია ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული №1 და №2 საყრდენების განთავსების ტერიტორიების ვიზუალური არქეოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები/ძეგლები არ ფიქსირდება. ამასთან, აღნიშნული არეალი არ ხვდება ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ არეალში. შესაბამისად, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე შენიშვნები არ გააჩნია.

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, ეგხ-ს ტრასა ერთ წერტილში შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს კუთვნილი ხრამის მაგისტრალურ არხს (ს/კ: 80.00.289) კვეთს, რომლის გასხვისების ზოლი არხის ბერმის კიდიდან ორივე მხარეს 8-8 მეტრს შეადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ მაგისტრალურ არხთან უახლოესი მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემის საყრდენი (№9) განთავსებულია დაახლოებით 60 მეტრის დაშორებით, შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიებში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით დადგენილი კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, სოფელ ნახიდურსა და სოფელ თამარისში, შპს „ნახიდური ჰესი“-ს 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს.**
2. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2024 წლის 19 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №654/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს:

   ა) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება;

   ბ) საქმიანობის შპს „საქართველოს მელიორაცია“-სთან შეთანხმება.
4. შპს „ნახიდური ჰესი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობა წარმოადგენს 2024 წლის 19 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №654/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნახიდური ჰესი“-ს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნახიდური ჰესი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფაზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE